# საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ბრძანება №01-10/100

ქ. ბათუმი 03 დეკემბერი, 2021 წ.

**ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „საგანმანთლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები, ამ ბრძანების დანართი 2), საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების **„საფინანსო სერვისები“, „ბუღალტრული აღრიცხვა“, „საფინანსო სერვისები“** განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წერილის (ბსუ-ში შემოსვლის №1259313, 24.11.2020), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების **„მებაღობა“, „სატყეო საქმე“** განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წერილის (ბსუ-ში შემოსვლის №1275942, 29.11.2020), პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათის (შიდა №1297703, 02.12.2021) საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თანდართული გეგმა (დანართი 1).
2. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის აპარატს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იაკინთე ჩხარტიშვილი

„ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის“ გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 03 დეკემბრის N 01-10/100 ბრძანების დანართი N1

| იდენტიფიცირებული არასრული შესაბამისობის აღწერა | სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი | შესაბამისობის ტიპი (მეტწილი/ ნაწილობრივი) | შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები | დაწყების სავარაუდო თარიღი | დასრულების სავარაუდო თარიღი | დრო, შეფასების მომენტიდან დასრულებამდე | პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული | შემსრულებელი | სხვა ჩართული მხარეები (გარდა დაწესებულებისა) | დაფინანსების წყარო | დაფინანსების ოდენობა, ლ. | მატერიალური რესურსები | დამატებით საჭირო მატერიალური რესურსები | მიუთითეთ დამატებით საჭირო მატერიალური რესურსის გამოყენების | შესრულების ინდიკატორები | დადასტურების წყარო | რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა % | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სტანდარტთან **„პსდ-ს მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას"** გამოვლენილია მეტწილი შესაბამისობა. კერძოდ, დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას. იგი ასევე უზრუნველყოფს საინფორმაციო ფუნქციას და მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას, რაც თავისთავად მოიაზრებს დროული, განახლებული და ლოგიკურად დაჯგუფებული ინფორმაციის მიწოდებას, დაინტერესებული მხარეებისთვის მარტივად ხელმისაწვდომობისა და კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. თუმცა **ბსუ-ს ვებგვერდი საჭიროებს ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას.** | 5.2.3 - 1<br>5.2.3 - 3<br>5.2.3 - 6 | მეტწილი | გადაიხედება და განახლდება ბსუ-ს ვებ გვერდზე ველი "პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი" | 06.12.2021 | 06.06.2022 | 6 თვე | ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი | ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური | არა | არა | არა | არა | არა | არა | შესაბამის ობაში მოყვანი ლი ბსუ-ს ვებგვერდ ი | ბსუ-ს ვებ გვერდზე განახლებული ველი "პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი' | არა | |
| სტანდარტთან **„პსდ-ს მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას"** გამოვლენილია მეტწილი შესაბამისობა. კერძოდ, **საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი საჭიროებს განახლებას გონივრულ ვადებში (ყოველწლიურად, ასევე პროგრამებში შეტანილი ცვლილებების კვალდაკვალ)** | 5.2.3 - 4<br>5.2.3 - 5 | მეტწილი | გადაიხედება და განახლდება განთავსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, როგორც ბსუ-ს ვებ გვერდზე, ისე მატერიალურად | 06.12.2021 | 06.06.2022 | 6 თვე | ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი | ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი | არა | არა | არა | არა | არა | არა | პროფესი ული საგანმანა თლებლო პროგრამე ბის კატალოგ ი | პროფესიული საგანმანათლებ ლო პროგრამების კატალოგი | არა | |